

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 1 მაისის #101/01/01 ბრძანების საფუძველზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრის ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 მაისის №127/2018 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

### **შემაჯამებელი ოქმი #3**

ქ. თბილისი

21 ივნისი 2018 წელი 16:30 სთ

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 1 მაისის #101/01/01 ბრძანებით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრის ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის შემოვიდა ერთი განაცხადი. თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 მაისის №127/2018 დადგენილების საფუძველზე შექმნილ საკონკურსო კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში და კომისია შეუდგა მუშაობას. კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად.

სხდომას ესწრებოდა კომისიის სრული შემადგენლობა:

- 1) რომან ჯობავა - ფმმკ, აკადემიური დოქტორი, შპს EM კონსულტაციები და პროგრამული უზრუნველყოფა EMCიS ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე);
- ბ) კახაბერ თავზარაშვილი - ფმმკ, აკადემიური დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმატიკის, ინჟინერიისა და მათემატიკის სკოლის დირექტორი, პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
- გ) დავით კაკულია - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
- დ) რამაზ ქვათაძე - ფმმდ, საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმატიკის, ინჟინერიის და მათემატიკის სკოლის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა“-ს აღმასრულებელი დირექტორი.

#### **დღის წესრიგი:**

1. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრის ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

## მოისმინეს :

კომისიის თავმჯდომარის რ. ჯობავას ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის I ეტაპზე შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია, შეფასდა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დადგენილების დანართი N4). შეფასების I კატეგორიის („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) მიხედვით კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეფასდა ვაკანსიის პროფილის შესაბამისად. შეფასების II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) კონკურსანტის პედაგოგიური მოღვაწეობა წარმოდგენილი სილაბუსების, პროფილის მიხედვით თსუ-ში წაკითხული კურსების, ტრენინგების და ა.შ მიხედვით შეფასდა კრიტერიუმით - „მაღალი“. კომისიამ ასევე “მაღალი“ შეფასებით შეაფასა კონკურსანტის სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა (შეფასების III კატეგორია), იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში წარმოდგენილი სტატიების რაოდენობის, მაღალი ბიბლიომეტრული მაჩვენებლების, მრავალ უცხოურ საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებების და მიღებული საგრანტო პროექტების გათვალისწინებით. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი კომისიის მიერ შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო შრომა. კომისიის აზრით წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი ნათლად ასახავს კონკურსანტის გამოცდილებას, კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობაში უშუალო წვლილის შეტანას, სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. კონკურსანტი ფლობს კომპიუტერული პროგრამების ფართო სპექტრს, უცხო ენებიდან თავისუფლად რუსულს და ინგლისურს. IV კატეგორიის საერთო შეფასების მიხედვით კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით - „მაღალი“. გასაუბრების შედეგების მიხედვით დადასტურდა რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის და ლოგიკური აზროვნების უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას და ღირსეული კანდიდატურაა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრის ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად.

**მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.** კენჭისყრის შედეგების მიხედვით კომისიის ოთხივე წევრმა მხარი დაუჭირა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ცისანა გავაშელის კანდიდატურის გამარჯვებულად გამოვლენას.

დაადგინეს:

1. ცისანა გავაშედი არჩეულ იქნას თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრის ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე.
2. შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრები:

რომან ჯობავა (კომისიის თავმჯდომარე)

h. ჯობავა

დავით კაკულია (კომისიის მდივანი)

d. ჯობავა

კახაბერ თავზარაშვილი (კომისიის წევრი)

კ. თავზარაშვილი

რამაზ ქვათაძე (კომისიის წევრი)

რ. ქვათაძე